სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
03.10.2014 № 189
თბილისი

სტუ-ში 2014-2015 სასწავლო წლის პირველ
სემესტრში პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის
მიზნით ტესტირების ჩატარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. განისაზღვროს 2014-2015 სასწავლო წლის პირველ სემესტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ (მეოთხე და მეხუთე) საფეხურებზე ჩარიცხვის მიზნით ტესტირების პროცედურა N1 დანართის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს ტესტირების კომისიის შემადგენლობა №2 დანართის შესაბამისად;
3. განისაზღვროს ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი №3 დანართის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს ტესტირების საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა №4 დანართის შესაბამისად;
5. ტესტირება ჩატარდეს სტუ-ს I კორპუსში, კოსტავას ქ. № 72, პირველი სართულზე, კომპიუტერულ საგამოცდო ცენტრში;
6. დამტკიცდეს ვადები:

   ა) აპლიკანტების რეგისტრაცია ტესტირებაზე – 6 ოქტომბერი, 9:30-დან 10:00 საათამდე;

   ბ) ტესტირების ჩატარება – 6 ოქტომბერი, 10:00 -დან 11:30 საათამდე;

   გ) ტესტირების შედეგების გამოცხადება – 6 ოქტომბერი, 15:00 საათამდე;

დ) ტესტირების შედეგების გასაჩივრება – 6 ოქტომბერის 15:00 საათიდან 7 ოქტომბრის 14:00 საათამდე, სტუ-ს I კორპუში, კოსტავას ქ. № 72, პირველი სართულზე, კომპიუტერულ საგამოცდო ცენტრში;

ე) პრეტენზიების განხილვა - 7 ოქტომბერი- 14:00-დან 17:00 საათამდე, სტუ-ს I კორპუში, კოსტავას ქ. № 72, პირველი სართულზე, კომპიუტერულ საგამოცდო ცენტრში;

ვ) პრეტენზიების განხილვის შედეგების გამოცხადება 7 ოქტომბერი - 17:00 საათზე

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (გ.აბრამიშვილი);

8 ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში *ლ. კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*

დანართი №1

2014-2015 სასწავლო წლის პირველი სემესტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე შემდგომ (მეოთხე, მეხუთე) საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით ჩასატარებელი ტესტირების პროცედურა

მუხლი 1. აპლიკანტის უფლებები და ვალდებულებები ტესტირებისას

1. სტუ-ს მიერ ორგანიზებული ტესტირების (შემდგომში ტესტირება) ჩაბარების მიზნით, აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს სტუ-ს კომპიუტერულ საგამოცდო ცენტრში რეგისტრაციაზე და თან იქონიოს დაბადების/პირადობის მოწმობა/პასპორტი.
2. დაგვიანების შემთხვევაში აპლიკანტი არ დაიშვება ტესტირებაზე.
3. ტესტირების დროს აპლიკანტს უფლება აქვს თან იქონიოს:
   ა) წყალი;
   ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;
   გ) საჭიროების შემთხვევაში სხვა ნივთები, სტუ-ს საგამოცდო კომისიის წინასწარი თანხმობით.
4. ტესტირების დროს აპლიკანტს ეკრძალება:
   ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;
   ბ) დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვათა გამოყენება, გარდა სტუ-ს საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებული ნივთებისა;
   გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა აპლიკანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
   დ) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად;
   ე) მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე.

მუხლი 2. ტესტირების დროს წესის დარღვევა

1. ტესტირების დროს აპლიკანტი მიიღებს გაფრთხილებას ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.
2. ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის განმეორების შემთხვევაში აპლიკანტი იხსნება ტესტირებიდან.

მუხლი 3. ტესტირების პროცესზე დასწრება

1. ტესტირებას უნდა ესწრებოდეს – კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და ტექნიკური პერსონალი (ასლის გადასაღებად).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ტესტირებაზე ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს ტესტირების მიმდინარეობას, მათ ეკრძალებათ ტესტირების შინაარსთან დაკავშირებით აპლიკანტის დახმარება ან მათი მუშაობისთვის ხელის შეშლა.

მუხლი 4. ტესტირების ფორმა

1. აპლიკანტმა უნდა შეასრულოს მისთვის განკუთვნილი ტესტური დავალება.
2. ტესტირების ხანგრძლივობაა 90 წუთი.
3. ტესტის შეჯამება უნდა მოხდეს 100 ქულიანი სისტემით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს 25 ქულა.

დანართი №2

ტესტირების კომისიის შემადგენლობა

1. ეკა ნარეშელაშვილი - სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი, კომისიის თავჯდომარე;
2. დავით კაპანაძე - სტუ-ს საგამოცდო ცენტრის უფროსი, კომისიის წევრი;
3. ზურაბ გედენიძე - სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, კომისიის წევრი;
4. ნუგზარ წერეთელი - ქიმიური და მეტალურგიული ფაკულტეტის დეკანი, კომისიის წევრი;
5. გოჩა მიქიაშვილი - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, კომისიის წევრი;
6. ალექსანდრე ჯიბლაძე - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი, კომისიის წევრი.
7. მანანა თალაკვაძე - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, კომისიის წევრი.

ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი

მუხლი 1. საპრეტენზიო კომისია

1. სტუ-ს მიერ ორგანიზებული ტესტირების (შემდგომში ტესტირება) ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიები განიხილება წინამდებარე ბრძანებით შექმნილი საპრეტენზიო კომისიის მიერ (დანართი 4).

მუხლი 2. საპრეტენზიო კომისიის რეგლამენტი

1. საპრეტენზიო კომისიის სხდომას იწვევს და უძღვება საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე.

3. საპრეტენზიო კომისია პრეტენზიებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.

4. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

5. საპრეტენზიო კომისიის სხდომაზე ფორმდება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.

მუხლი 3. ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი დარღვევების გასაჩივრება

1. ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი დარღვევის ფაქტის თაობაზე, აპლიკანტი უფლებამოსილია შეიტანოს საპრეტენზიო განაცხადი საპრეტენზიო კომისიაში, ტესტირების შედეგების გამოცხადების შემდეგ, იმავე დღის 15:00 საათიდან მომდევნო დღის 14 საათამდე.

2. პრეტენზიის წარდგენისას აპლიკანტმა თან უნდა იქონიოს დაბადების/პირადობის მოწმობა/პასპორტი.

3. დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი პრეტენზია შეიძლება ეხებოდეს:

ა) პრეტენზიის წარმდგენი აპლიკანტის უფლებების დარღვევას სხვა აპლიკანტების მიერ;

ბ) სხვა აპლიკანტის მიმართ სტუ-ს მიერ ორგანიზებული ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევას სხვა აპლიკანტების მიერ (აპლიკანტისათვის დახმარების აღმოჩენა და ა.შ).

გ) სტუ-ს მიერ აპლიკანტის მიმართ ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევას.

დ) ტესტირების პროცედურის სხვა დარღვევებს.

4. საპრეტენზიო კომისია პრეტენზიების განხილვას იწყებს განაცხადის შეტანის ვადის ამოწურვისთანავე და მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობს აპლიკანტს იმავე დღეს ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

დანართი №4

ტესტირების საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა

1. გიორგი აბრამიშვილი - სწავლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის თავჯდომარე;
2. გია არაბიძე - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი, კომისიის წევრი;
3. ოთარ გელაშვილი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი, კომისიის წევრი;
4. მაია მშვილდაძე - ქიმიური და მეტალურგიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, კომისიის წევრი;
5. თამარ ჭანტურია - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, კომისიის წევრი;
6. ნინო გოგინაშვილი - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, კომისიის წევრი;
7. ელენე ოქრომელიძე - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი.